

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და საპენიწიარო ნახატებიანი ზაზეთი. ზაგოდის ურველ კვირა დღეს.

№ 26.

ივნისი 19, 1894 წ.

№ 26.

შინაარსი: ნ. გიარ-ხანუმი. — საურაღღებო ამბები — ბნ პერკვალიძის საპასუოდ — ე. თვარჭილაძისა. — ქობულეთი, დეკანოზისა. — ჩემი თავგადასავალი ავაციასა. — ცრ ი ტ ი გ ა: მასუნი ქრონიკების პატივის თ. ჟორდანიასა. — გ. წერეთლისა. — მასუნი გრ ყუფშიძის — მისა ცხაპაისა. — ფარალი თარხანისა.

ნიგიარ-ხანუმი

(ჩემი დროის გამოჩენილი პოეტი ოსმალებთან)

სმან - ფაშას, რომელმაც წაისულს ოშში გმირობით ისახელა თავი პლენენაში, დიდი დეაწლი მიუძღვის თვის ქვეყნის წინაშე. ერთ უადრეს მის დამსახურებათ ისიც ჩათვლება, რომ მან ოსმალების გამოუზარდა საუკეთესო პოეტი. ოსმან-ფაშა არის წარმომადგენელი ახალი დროისა, ევროპის ძლიერ-მოსილ გა-




ნათლების შემოღებისა ოსმალებში და ჰუმანური მიმართულებისა. მისი ოჯახი, ანუ უკეთ ვთქვათ, სალონი, სტამბოლში ევროპული აზრების მქადაგებელია და აქ იკრებება საუკეთესო განათლებული ოსმალების მამულის შვილი, ვინც კი წარჩინებულია ნიჭით, განათლებით და წარმატების მძებლობით. აი, ამ განათლებულს ოჯახში აღზრდილია ჩინებული პოეტური ნიჭით შემკული ნიგიარ-ხანუმი, ასული თვით სახელოვანის

ვაზი ოსმან-ფაშისა. ეს ქალი თავისი ლექსებით ხიბლავს მთელს ოსმალეთის საზოგადოებას. მის ლექსებს: „ვაზაუხულოს“, „ალიონს“, „სიკედლის“, „საფლავს“ ჩონგურზე დამღვრიან ოსმალეთში. მეტად გრძნობიერად და დიდი პოეზიით დაწერილია მისი ლექსი — „სიყვარული“.

ნიგარ-ხანუმი ნამდვილი ლირიკა, რომლის გულის ამოკუნესა და დარღები მთელი ოსმალეთის ქალების გულის პასუხია და მისი უნუგეშო მღვო-

მარეობის გამოამეტყველი.

ნიგარ-ხანუმას ლექსები ახლახან დაიბეჭდა ორ ტომად და სახელად ჰქვია „აუსუს“ (ნაღველი, ანუ სანაღველი). ამ ქალს მიუღია ევროპული განათლება და ზედმიწევნით შეუსწავლია დასავლეთის ლიტერატურა. მის ლექსებს ეტყობა გავლენა ალფრედ მუსესი და ლამარტინის მუსხასი. ნიგარ-ხანუმი ჯერ კიდევ ახალგაზდა შეენიერი ცეცხლ-აფურქვევი შეთვალემა მანდილოსანია.



საყურადღებო ამბები



ასული კერა აღიბეჭდა საკვირველი და საოცარი შემთხვევით, რომელსაც მიუცილებოდა ექნება დღი გავლენა როგორც ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ისე მის საზოგადობრივ წყობილებაზე.

მთელი ერის თვალწინ ერთმა ოცდა ორის წლის იტალიელმა საფრანგეთს რესპუბლიკის პრეზიდენტს სადი-კარნოს დაჰკრა მახვილი და სული გააცხებინა. ამ გარემოებამ, როგორც საშინელოა მიწის-ძვრამ, ისე შეარყია ევროპის სახელმწიფოები. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ან პირადი მტერობის გამო, ან საზოგადოების მოძულემბის გამო მომხდარიყო ეს ამბავი. არა. კარნო არ იყო ისეთი კაცი. საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკა იმას თითქმის აღმერთებდა. მან მოუპოვა საფრანგეთს ევროპის პატრიისცემა, განამტკიცა მეგობრული კავშირი საფრანგეთსა და რუსეთს შორის, დაგვირგინა საფრანგეთის რესპუბლიკის ძლიერება გარეშე პოლიტიკაში. ამასთანავე სადი-კარნო იყო ერთგული და წარჩინებული მამულის შვილი. ასეთს კაცს ევროპ პირადი მტრობა, ევროპ საზოგადოების სიძულეთი ევრო მიეკარებოდა. ასეთი კაცები შეიწირებიან მსხვერპლად მხოლოდ ქვეყნის ცოდვისათვის. საკუთრად ამისთანა კაცს დადევნება ხოლმე თავზე მოწამეობის გვირგვინი მაშინ, როცა ქვეყანა უსამართლოების გამო ცოდვის ჯურღმელში ჩაღვამ ფეხს, და როცა ასეთი კაცი შეიწირება ზეარაკად სოფლისა. აი, მხოლოდ მაშინ გამართლდება ხოლმე წინასწარმეტყველება: მოგელენან დღენი, რომელთა შინა არა დაშთეს ქვა ქვაზედა, რომელი არა დაირღვესო.

მართლაც, რომ საკვირველი ამბავი ჰხდება ევროპაში მიუცილებლად დიდი ცოდვა უნდა ტრიალებდეს ევროპის სახელმწიფოო წეს-წყობილებაში, თუ სახელმწიფო მოათვეც ევლარსად ივარავს თავს

მკვლელისაგან: ევრო თავის სასახლეში და ევრო თავის მადიდებლის მომხრეების წინაშე.

**

26 აპ თვეს დანიშნულია განსაკუთრებული კრება ქართლის დრამატულის საზოგადოებისა, რომლის საგნათ უნდა იყოს განილვა, თუ რა წესით და რა დონისძიებით უნდა გაიმართოს მომავალს ზამთარში ქართული წარმოდგენებო, აგრეთვე უნდა აღიჩინოს ორა გამკეობის წყვირი და მათი კანდიდატებო.

ჩვენის აზრით ახლა ძალიან მოუხერხებელი ასეთი კრების შედგენა, რადგან მომეტებული ნაწილი წევრების საზოგადოლო წასული არიან. ბევრად ჰჯობია ეს კრება გადაიდგას შემოდგომისათვის.

**

კერინა ანეტა დადიშკელიანისამ გამოუქნა „კეალის“ რედაქციას ქალაქ ზუგდიდთან „ქართულ სალიტერატურო ფონდის“ სასარგებლოდ შეგროვილი სამეცნიერო მანეთი და ითხოვს სია მემოხსენებულთა შემომწირველთა „იერიკაშია“ დაიბეჭდოს.

- თ. ან. დადიშკელიანისა—10 მან., ან. ელიავესი—2 მან., ი. ნ. ყიფიანისა—3 მან., ს. ჯავროვისა—1 მან., თ. ჯ. დადიშკელიანი—5 მან., ა. ა. მარშივეი—3 მან., ნ. ს. ასათიანი—3 მან., ი. დ. მაჭავარიანი—2 მან., თ. დ. ი. ჩიჩუა—2 მან., ს. ჩიქოვანი—2 მან., ა. ლ. დგებუაძე—2 მან., ჩ. კოსტავა—2 მან., თ. კეშელავა—3 მან., პ. ანთელავა—1 მან., თ. ჩ. ჩიჩუა 1 მან., ნ. გ. ჯიქია—1 მან., გ. თაყაიშვილი—1 მან., დ. ლ. ქლენტრი—1 მან., ე. კვარცხელია—1 მან., ე. მ. საჯავა—1 მან., ნ. ფ. დგებუაძე—1 მან., მ. დ. კვიციანი—1 მან., ა. გ. ჯგუშია—1 მან., თ. ნ. დადიანი—1 მან., კ. ქ. დარასელია—1 მან., ე. კ. ანთელავა—1 მან., ფ. გ. კვიციანი—1 მან., ლ. ტ. აფაქიძე—1 მან., ს. ს.

შენგელია—1 მან., ი. გ. გევიძე—1 მან., დ. ხ. ტყეშელაშვილი—1 მან., კ. ს. მესხია—2 მან. სულ—60 მან.

* *

„კეალის“ რედაქციას მოუყვია სილიბისტრო ჯიბლაძისაგან შემდეგი განცხადება:

„გონი, რამოდენად თანამგრძობი და დამსძაწე იყო რედაქციის განსწავლულის ეგნატ ინგოროვესა მის სინოცელში და ამიტომ დარწმუნებული ვართ მის გადგეგვას შემდეგ ან დახარკეს ზრუნვას მის საქმიანობის შესახებ. —ეგნატ ნინოშვილის დასაფლავებისთვის შეგროვებულ ფულებისაგან გადაწესა დასწავლავი 124 მანეთი. ამ ფულს ვგვით აღსაწვდელია ეგნატის ბიძაშვილისთვის ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ინგოროვესა, რომელიც ოზურგეთის სამოქალაქო სსსწავლებელმა სწავლობს ამ კლასში. გეგმავს ამ ფულს, გთხოვთ შეუნახოთ ის თქვენს რედაქციაში სხენულის მქაჩვის და სპორტების კვლავსაზე უკუწავით. ამასთან გეგმავს იმედი ვაქვთ შეგროვებით ამ საქმისთვის ფული: სელსმოწერა (ეოპულაოური შემოწინდობის) გამართული გეგმავს. თუ ვინმე გვითვლინებს შემოწინდობას, გთხოვთ ფულია პირდაპირ თქვენს რედაქციაში გამოგზავნონ, ან ჩვენს სასწავლებელს. ჩვენს კლასში“.

შემოწინდობის სსსკ-და-სსკ: ადგილებიდან და პირთაგან:

დ. ყვირილიდან—31 მან., ქ. ქუთაისიდან—40 მან., ქუთაისის წიგ. გამომცემელ აშანავაძიდან—25 მან., ქ. ოზურგეთიდან—30 მან. 2 კაპ., ქ. ფოთიდან—15 მან., ნ. ლოლაბერიძისაგან—20 მან., ი. გოცებაშვილისაგან—25 მან.

ყოველ წლიურ შემოწინდებლებიდან (ამის სიას ქვემოთ ვაახლებთ)—24 მანეთი.

გარდა ამისა წერა-კითხვის გამავრცელებელ სსსწავლობებში გამომგზავნა აპრილის თვის შესაწვეულ ანგარიშში სალიტერატურო ფონდიდან—15 მანეთი. შემოვიდა სულ—208 მან. 82 კაპ.

შეველ წლად შესწავლავი ეგ. ნინოშვილის ბიძაშვილის დასაწვდელად იყისრეს შემდეგ პირთა:

გ ა დ ა ხ დ ი ლ ი ა

„კეალის“ რედაქცია—10 მან., გიორგი წერეთელი—3 მან., თ. ალ. ჩოლოყაშვილი—10 მან., სტუფანე დანდლოვი—3 მან., გრიგოლ ყიფშიძე—3 მან., ცეკელი ევაძე—3 მან., ოლოლა ბეჟაროვი—2 მან., ისილორე ჩამიშვილი—2 მან., ალექსანდრე კალანდაძე—1 მან., ანანი კალანდაძე—1 მანეთი.

უკრ ან შემოყვანიათ

იოსებ იაგანაშვილი—2 მან., მალაქია ბოლქვაძე—15 მან., ვარდენ ყიფიანი—6 მან., დიმიტრი

კალანდარიშვილი—2 მან., კარლო ჩხეიძე—3 მან., ლადო დარჩიაშვილი—1 მან., სარდიონ ლუკვერეშვილი—2 მან., პეტრე გელიეშვილი—2 მან., სამსონ კილაძე—1 მან., გოგოლი და ნინა ბერეკიაშვილი—8 მან., გიორგი შარაშიძე—1 მან., სილიბისტრო ჯიბლაძე—10 მანეთი.


* *

„ოზურგეთი, 11 ივნისი. დიდათ პატივცემული პეტრი ჩეერი აკაი ამბობდა ამას წინადა, რომ საქიროა მხოლოდ თვალს დაუჯეროთ და ყურს არაო... ეს ამბავი გამახსენა იმ გარემოებაში, რომ ოზურგეთზე ბევრი უკუდი იწერებოდა, ბევრს რასმე დაპარაკობდნ ზოგიერთი ჩეერი საღერდელ ამულით კარესაადენტიბი და, როგორც უწვდობრივად, ისე ბანძური ცხოვრებით სრულიად მიწასთან ასწორებდნ ოზურგეთს და მის მკვიდრთ. სხვათა შორის ძენწობასაც კი სწამებდნ, მაგრამ აქ რაკცა ენაზე, სულ სხვას ეხედვ. მე მგონია ის გახვიადებული წერილები სხვა ოზურგეთზე იწერებოდა-მეთქი. მართალია უნდა მოგახსენო ამ სტრიქონების დამწერს თითქმის ყველა საქართველოს ქალაქები უნახავს, მაგამ ანეთი კობაკ და წმინდა ქალაქი იშვითად შეხედრიია. ამ ჩემს ცარიელ სიტყვას, მხოლოდ ის დაიჯერებს, ვინც ამ მოკლე დროს ოზურგეთში ყოფილა. ოზურგეთის მკვიდრებდაც არ შეიძლება ითქვას „ბუნწილია“. ამის საბუთაც ხელთა გვაქვს. კვირა არ გავა, რომ ოზურგეთში, საქველ-მოქმედო მიზნით, ან წარმოდგენა არ იყოს, ან კონცერტო, ან ხელის მოწევა და სწე... აი, ამ პატარა ხანში აქ იყო საქველ-მოქმედო წარმოდგენა ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, აქ იყო კონცერტო ორჯელ, აქ იყო გასულ კვირას აქაურ სამოქალაქო ბაღში ფულის გადახდით სიერობა, აქ ვაიმართა გაწვეული ნიჭიერი ბელეტრისტის ეგ. ნინოშვილის ბიძაშვილის სასარგებლოდ ხელისმოწევა და სხე... მაგრამ მიუხედავად ამისა ამ პატარა ოზურგეთში მე და მართამ ივანე ჯავახილის ასულმა გამართეთ ხელისმოწერა ერთი ნიჭიერის მოსწავლის სასარგებლოდ, რომელიც საზღვარ გარეთ სწავლობს და შევკობთ ვერ-ჯერობით 80 მანეთი; აბა, რაღა ვინდათ ერთი მუტუ ქალაქისა და მის მკვიდრთაგან? არ შემიძლია აქ ერთი ამბავი არ დაეძინო, რომელიც რამდენიმე ოჯახში გამომოტრეს: „ზოგიერთებ-საეთი არ მოგვეტკო, რომ გავხარდეთ და, როცა დიბლომი და თბილი ადვილი მოიკოდა ხელში, ჩვენსას არ დადის და აღარ გვკადრულობსო“ და სხე... მომყავს, თუ ვინ რამდენი შემწეობა აღმოუჩინა ღარიბ მოსწავლეს;

თავ. ტ. ნაკაშიძე - 3 მან., გ. მარგალიტაძე - 3 მ.,
 დ. სურგულაძე - 3 მან., ე. ხუნდაძე - 3 მან., **№ №** -
 3 მან., ა. თოხაძე - 2 მან., ბ. კალარაძე - 2 მან.,
 მ. თუმანოვი - 2 მან., თავ. თ. ერისთავი - 2 მან.,
 ს. წერეთელი - 2 მან., ი. თაყაიშვილი - 2 მან., ა.
 შარაშიძე - 1 მან., ა. თავაძე - 1 მან., თავ. გ. წულუ-
 ლუკიძე - 1 მან., ს. ევალოშვიდი - 1 მან., ი. ავაზა-
 ზაია - 1 მან., მღ. დ. ღუმუაძე - 1 მან., ე. გომე-
 ლაური - 1 მან., ი. კელიძე - 1 მან., გ. ღონაძე -
 1 მან., ს. მჭვიშვილი - 1 მან. დ. ავაშიძე - 1 მან.,
 M. II. - 1 მან. ი. გ. კ. - 1 მან., **№ №** - 1 მან.,
№ № № - 1 მან., გ. ქარცივაძე - 1 მან., სპირიდონ მე-
 ნაბდე - 1 მან., ალექსი კვაჭაძე - 1 მან., ს. შარა-
 შვინიძე - 1 მან., პ. შავარდაძე - 1 მან., ს. ლლონ-
 ტი - 1 მან., გ. ალშობაია - 1 მან., **№ №** - 1 მან., ს.
 ჯაყელი - 1 მან., პ. ბერეჟიანი - 1 მან., ა. ბერიძი-
 სა - 1 მან., ნ. თაყაიშვილისა - 1 მან., კ. კვაშლი-
 სამ - 1 მან., მ. დემუროვისა - 1 მან., ა. თოფურ-
 ასა - 1 მან., ე. გელოძე - 1 მან., ა. წითლიძე - 1 მ.,
 ტ. ჭიჭინაძე - 1 მან., მ. ურუშაძე - 1 მან., დ. ცე-
 ცხლაძე - 1 მან., მღ. ე. ხონელია - 1 მან., მ. იო-
 რაიშვილი - 1 მან., ე. დონაძე - 60 კაპ., ბ. თენი-
 ვშილისა - 50 კაპ., ს. მერაბლისა - 50 კაპ., ტ. ჩხა-
 ტარაშვილი 50 კაპ., ლ. ავაშიძე - 50 კაპ., სო-
 რია - 50 კაპ., ე. ნაკიძე - 50 კაპ., დ. ქაღიშვი-
 ლისა - 50 კაპ., გ. ქიქოძე - 50 კაპ., ნ. ურუშაძე-
 სამ 50 კაპ. **№ №** - 50 კაპ., კ. შავიშვილი - 50 კ.,
 ხ. ურუშაძე - 50 კაპ., ს. როყუა - 30 კაპ., ი. ურუ-
 შაძე - 20 კაპ., ო. ურუშაძე - 10 კაპ., დ. შალი-
 კაძე - 20 კაპ., კ. თაყაიშვილი - 3 მან., თ. თა-
 ვართქილაძისა - 6 მანეთი. სულ 80 მან. და 40 კ.

ჩემი მხრით ღღ მადლობას ეწირავ ყველა
 შემოხსენებულ პატივცემულ პირთ, რომელთაც კე-
 თილინებს და თავისი წვლილი არ დაიშურეს ღა-
 რიბი მოსწავლის სასარგებლოდ.

თამარ თავართქილაძისა



ბ-ნ პეტრე პავლიძის საბასუსოდ



აზეთ „კვალში“^{*}), როგორც მკითხველს
 ეხსოვნება, მოთავსებულია ბ-ნ პეტრე პავლი-
 ძის წერილი შემდეგი სათაური: „წიგნების
 გაერცლებს საქმე ჩვენში“. ...უარეს ბედს არ აცდა
 ახალ-გაზდა ბელეტრისტი ბ-ნი ე. ნ-ლი, ბძანებს
 პეტრე პავლიძე - რომლის ყველა ნაწერები მხოლოდ
 იც მანეთად ჩაიგლა ხელში ამავე ეპქარმა^{**}. ეს
 „ამავე ეპქარი“ მე გახლავარ, რადგანაც ე. ნ-ლის
 ნაწერები ჯერ ჩემს მეტს არაღის გამოუცია. ე. ნ-
 ლისათვის მე იცი მანეთი კი არა, სამოქმედო-
 მეთი მაქვს მიცემული, თუმცა კი ესიც რომ არ მი-
 მცეა ჯერ-ჯერობით ზრალს ვერ დამდებდა ეწრაფინ,
 რადგანაც ე. ნ-ლთან სულ სხვა პირობა გვაქვს;
 გადაწყვეტილი ჰქონარაი არ ალგეითქვამს ჩვენ მის-
 თვის, არამედ უნდა მიგვეცა მოგების ნახევარი. ჯერ
 წიგნები, ბატონო, არ გაუცდელა^{**}). გამოცემი-
 სათვის დაბარჯული ფული არ ამილია; განა ამას
 შემდეგ დანაშაული ვარ ე. ნ-ლთან? ეკრითი პი-

რობა მქონდა ე. ნ-ლთან, მაგრამ მე უხედავდ ამი-
 სა მე მაინც მივეცი საზოც-დასამ მანეთამდე, რო-
 მე იც ჰქანს თვით ე. ნ-ლის ჩემდამო მოწერილს
 წიგნში:

„ამაო კოსტანტინე! 26 მარტს ქ. ბათუმში
 თქვენი წერილი დროიანად მივიღე, მაგრამ ჩემთვის
 ადვილი არ არის წერილის წერა, ყოველ დღე
 ვერ ეღებო ლოგინიდან.

პეტრე პავლიძის დასახლებული ფაქტი, თით-
 ქოს თქვენ იცი მანეთი მოგვეცეს ჩემს თხზულებაში,
 რა თქმა უნდა, არ არის მართალი. მე თქვენგან მაქვს
 მიღებული თქვენ მიერ გამოცემულ ჩემს მოთხრობებში
 ექვსი თუმანი და სამი თუ ორი მანეთი. ეს მე ბევრ-
 თან მაქვს ნათქვამი და ბევრმაც იცის“.

მხოლოდ რაც შეეხება ბ-ნ დეტუ მეგრელს^{***})
 კარგად გასირჯეთ ეს ადგილი წერილისა და ყოველ
 ლივე სიმართლე გაიგება... „რა ექნა, ბატონო, სწერს
 პეტრე პავლიძე, თქვენს მოცესწინებათ, რომ ქართუ-
 ლი წიგნები არ იყიდება, მე თუ ვცემ ხალხის სა-
 სარგებლოდ ვცემ წიგნებს და ფულის მოკემა არ

*) ისილე კვალში № № 10 და 11.

**) წერილი კავსახნილია მაქვს ანტონთან და,
 როგორც მიკვირებს. სად რამდენი წიგნებია გაუცდელი,
 დაუოკნებელი ვცნობებს სასოჯადოუბას და მაქვს უფრო
 დაწმუნებებით, რა სიამარღე მამისადვის.

***) ბ-ნ დეტუ მეგრელის ყველა ის „სურათებ“,
 რომლებიც გამოცა ქუთაისის ამხანაურამ და ჰქონარ-
 რიც 60 მხეთი მადე, ჩემთვის არ მოაწერია, რომ-
 დის დამტკიცება თვითონ დეტუ მეგრელის წერილით-
 ვე შემიძღა, უკეთე საჭირო იქნება.

„შემიძლია“ — შწერდა პასუხად ეპიკური, „მხოლოდ თუ გინდათ ორმოც-და-ათ-ცალს თქვენი თხზულებისა“ დაბეჭდილს მოგართმევო“. დაეკვირდეთ ამ სიტყვებს კარგათ. თვითონ პეტრე პავლიძე ამბობს, რომ ეპიკურმა მიპწერა პასუხად: „მე თუ ვცემ ხალხის სასარგებლოდ ვცემ წიგნებსაო“. — ეს, თუ არ ვცდები და თქვენც ღამეთაშნებებით მართალია, მეტი სიმაართლე არ უთქვამს პეტრეპავლიძეს ჩემზე, თუმცა კი თვითონ ამ სიტყვებს დაცინეთ ამბობს; მაგრამ ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ გადახედეთ ჩემ მიერ გამოცემულ წიგნებს. სწორედ ეს იყო ჩემი მიზანი თავდაპირველად და ახლაც ეს არის, რომ ხალხის სასარგებლოდ — იაფ-ფასად გამოვეცე წიგნები და ამ მიზანს ვერ ვუღალატებ კერძო პირების გულსათვის. ბნ ღუტუ მეგრელისათვის დიდი ჰონორარი მ-მეცა, ვანამეგრე შემეძლო მიზნის, თვის არ მეღალატებო? საიდან უნდა ამეღო ს-მომეტებულ ფულზე? წიგნები ძვირად უნდა გამოემცა ვანა? კარგი დაგემაართოს, კარგია: აეტორს დიდი ჰონორარი მიეცე, წიგნები იაფ-ფასად გამოვეცე, ეს მეც მესმის, რომ კარგია, მაგრამ ეს არა თუ ჩემთვის, არამედ, რომელიმე ჩვენი ქართველი წიგნების გამოცემული ამხანაგობის, ან საზოგადოებისათვისაც შეუძლებელია. ასე იყო, თუ ისე, მაღლობა ღმერთს, რომ არ გამოიხილა — არ ჩამივიდა ხელში, ღუტუ მეგრელის თხზულება, დიდა ჰონორარი ჩემს მიზანს აუზბდა; ვერც საკუთარი ჯიბით შეეწუდებოდი და აი, ამისთვის ვერ ვიყიდე.

ეს არ მაქმარა ბ-ნმა პეტრე პავლიძემ და ასე განაგრძო: „...მოინდომეს ეს წიგნების გ-ვრცელების საქმე, „ექსპლოატაცია“ იარღვად გადაეცემათ და გადაეცემათ კიდევ“. სად არის, ბ-ნო პეტრე პავლიძე, „ექსპლოატაცია“? რომელი წიგნი გამოვეცი მე, რომ

„ექსპლოატაცია“ ყოფილიყო? ვანა აგრე უფაქტოდ ღალატო შეიძლება და ან საკადრისია?! სხვის უქაღვბედობა, სხვის ჰქიცხადობა ასეთის შეცდომისათვის და თქვენ, როგორ მოკვიდით, რომ ვგრეთი ამბები ჩაიდინეთ?!

სწორე ერთი და ერთი მიზანი უნდა იყოს: ან „ექსპლოატაცია“; ან „დიდი ჰონორარის მიცემა ღარიბი მწერლებისათვის“ და ან კიდევ „ხალხის ხელსაყრელ ფასად“*) წიგნების გამოცემის სურვილი უნდა ჰქონდეს ბ-ნ პეტრეპავლიძეს, რომელმაც ავტორი წელაწაღია, რაც მთავარბიდან სტამბის გახსნის ნებართვა აიღო და ამხანაგებრიც იშვაო.

პირველი საგნის (ექსპლოატაციის) შესახებ შემეძლია ვთქვა, რომ შეუძლებელია, რადგანაც რამდენისამე წლის პრაქტიკით გამოვეცადე, თუ პროვინციაში სტამბებს რა „ექსპლოატაცია“ მოჰყვება და ორი უკანასკნელის შესახებ, ვისურვებ, რომ თავისი სიტუაციის სისრულეში მაეყვანოს და ჩვენი მწერლებისთვის იმდენი ჰონორარი მიეცეს, რომ ჩვენს მწერლებს შექმნებოდეს ისეთი რისამე შექმნა, რომლითაც ამ საუკუნიდან მე-20 საუკუნეში, შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსნისათვის“ სასიქადულო და თავმოსაწონებელი“ ყოფილიყოს, როგორც პეტრე პავლიძე ბძანებს, იმათი ნაწარმოებები, ან და ხალხის ხელსაყრელ ფასად წიგნი გამოვეცე.

კ. თავართქილაძე

*) პეტრეპავლიძე იმხანა რაჭაბაგებს გამოემეცე, ამხანაგობებს: „ხალხის ხელსაყრელ ფასად“ გამოემეცე წიგნებო... გულად მეუბნება შერწყმა უბრალოთ წელთა მღვრეგანობა ეს არის. იმხანა ამბობს და იმხანა.

ავტორი.

ქ ო ბ უ ლ ე ლ ი

I.



ვერ გზის ენახე მე ზღვა შავი, დაეცქერდი ბევრჯერ მის წყალს და ყოველითვის ფიქრი მწვევი მიკიდებდა გულს ცეცხლის ალს.

მარად კენესის, მარად შფოთავს, მოაგორებს მთისგვარ ზვირთებს, ხველეთს ხედავს — ღირალს მორთავს და მუქარას უთელოს მის მთებს:

„ჭეი, მთაო! გამოიფრთხილდით! ომს გიცხადებთ საწირელსა! რათ მომშორდით, რათ მომცილდით

მე, თქვენს ბატონს, ძველის-ძველსა?

„უმაღლესი წვეთი თქვენი ერთხელ ჩემს წინ ქედს იზრდა, ჩემი წყალი რისხვის მფენი, მე თქვენს კალთებს გულს უთხრიდა... საბერძნეთით მოსულ გემებს თქვენს მწვერვალზე ჰქონდათ ბინა *)

*) ქაბუჯაყოს ზევით მთების ერთ მწვერვალთან, სვლიდან 15-ოდე კემისზე, დიდი კლდეა, რომელზეც ერთ ადგილს განკრებილია და მივ დიდი ჯაჭვია გუ-რალი, ამ ჯაჭვით ააბმდენ კემისსო, ამბობს აჭყარი ხალხი.

თავზარს სცემდენ ქართველ თემებს,
ბრუნდებოდენ ისევ შინა...

„ღღეს კი ჩემი არე-მარე
მთელათ ხელში ჩაგიგდიათ!
მეზობლათ გყავსთ მზე და მთიარე —
და მით თავი ავიგდიათ!..“

„რაც უჩირობა გამიწიეთ
დღემდის ნუ თუ აღარ გეყოფათ?
ჩამოდექით, დაიწიეთ!
ძირიანათ მსურს—წაგლეკოთ!“

II

და უმატებს მრისხანებას,
ცხეთქება ზღვა ნაპირებს...
აყოლილი გულის ენებას—
მთისა წარღვნას დააპირებს,
მაგრამ მთაი ამაყურათ
გადმოცქერის ზღვას მშფოთვარეს,
მის მუქარას იღებს ყურათ,
პასუხს კადრებს მკეპებს, მწარეს:
„რისთვის დრტინავ, რათ ღრიალებ,
რათ ხარ გაბოროტებული?
მსხვერპლს რათ ძებნი, რათ წრიალობ,
უმადლარი რათ გაქვს გული?“

„ხმელეთს მისცე რამე ენება—
ეს გწაღია დასაბამით;
ღმუი, არ გაქვს მოსიენება
არცა დლით და არცა ღამით.
აგანუწვეტლივ შფოთვა, ღელვა
გულში ცეცხლსა გააძენლებს,
ვისაც უნდა სწეისი თელვა,
ღმერთა მასვე დაანელებს.“

„და შენც ასე გემაჩრებთა—
მოწამეა ჯაჭვი კლდისა!—
ბარშიც გული გეხუთება *)
მბრძანებელსა როსდაც მითისა.
„აი, შენგან განაწირი
მიწა, შენგან დანაფუთი:
აწ მას ამბობს ციხის-ძირი,
შეკვეთილი, ქობულეთი...“

„ხალხი მკვირცხლი, კუთით მარღი
აღუნეს ამ ჩემს ბარს და გორებს,

მე მას ისე შეუყვარდი,
რომ თელს და გულს ვერ მაშორებს“.

III

მთა-ზღვის დავას, ამათ ბრძოლას
ყურსა უგდებს ქობულელი,
ტანში იგრძნობს რაღაც ქრკოლას,
თავლი ცრემლით უწასს სველი.

აგონდება მას წარსული,
წინაპართა გადმოცემა;—
უშფოთოდება მყისვე სული,
აუტყდება გულისცემა.

გადაწვდავს მივებს და ზღვასა,
სამხრეთისკენ პირსა შერება,
ჩოქვით იწყებს ცრემლთა ღერასა
და თავის ღმერთს ევეღრება:

„აოლა, აოლა! შეისმინე
ცხარე ცრემლით შეწავედრი.
კმაზა, რაცა მოვითმინე
ჩემის ქვეყნის მწარე ხედრი.
„მხარე ჩემი ეს ბედ-შავი
სულ ყოფილა ხალხსა შორის
სადაო, თან სათელავი
ხან ერთის და ხან მეორის.“

„გვიპეტელი, რომაელი,
ხან ბერძენი, ხან თათარი...
ყველა გემტრობდა,— სისხლით ეელი,
შევიღებებს მთა და ბარი,
ქართველები ყველას ძღვედენ,
სანამ იყენ ერთათ, ძმურათ;
წყდებოდენ—და არ აძლევდენ,
თავის მამულს მგელთ და ტურათ;

მაგრამ შურმა გადაკიდა
ქართველთ ტომში ერთმანეთსა:—
მათ სამშობლოს წაეკდა
ცეცხლი, რადგან ცოდეს ღმერთსა.
„მტრება განცალკევებულთა
დააყენა მათ ღღე მწარე...
ჩვენ მოგველოჯის ძმების გულთა,—
თათრებს დარჩათ ჩვენი მხარე.“

„შემდეგ გაეწლო დიდმა ხანმა,
ხალხი ჩვენი კვლავ იწვალა,—
და იწება რა სულთანმა,
სჯული ჩვენი შეიკვალა.
„ბოლო ენა, ქართველთ ენა...
იგი იყო ერთა-ერთი
ტყვე იპოა ჩვენი ღმერთი,
ჩვენს მკვლარს ძმეთან შემეპერთი.
„ენა იგი ვერ ამოუხერა

*) შენიშნულია, რომ შვი ზღვა თანდათან ტო-
გებს ნაპირებს. ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ,
რომ 15 წლის წინათ, ზღვის ტალღები უწევდა იმ ად-
გივას, სადაც ხლვა ქობულეთის პანორამა. მასსადამე,
ამ 15 წელიწადში ზღვა 60-ადე სატენზე შეწყოლა
შიგნით.



საუკუნეთ განმავლობამ *),
 თუმცა სხვათერე ავაგობრა
 უტხო ტომთა მტარეალობამ.
 „ძეირფას მოძმეთ სისხლის ლერანი
 ბერი ახსოვს ჩემს კალარას;
 ჩენი კენესა და ოხერანი
 ამხნეებდენ მტრის ნალარას.

„ენახე შეილი თაე-კეთილი,
 ენახე ღელა ანატირი;
 სისხლით ეღებეთ შეკვეთილი,
 მკედრებით ეავსეთ ციხის-ძირი...
 „ჭირთა მნახეველს გულსა მიწყლავს
 სედა წამსაც არ გამყრია,
 ბეგრჯერ — თაეი ეერ მომიკლავს —
 შორს ვახევეწა მინატრია.

„მაგრამ მთებე, ჩემე მთებე,
 და ზღვა, ფართოდ გადაშლილი...
 მე ამათა ეერ ვშორდებე, —
 ამათი ეარ მკეიდრი შეილი.

„მიყვარს ეგ მთა, ჩემე მზრდელი
 მთა, ამღმელი ჩემის ენის.
 ტვერი, ზოგჯერ მტრისგარ მხსნელი,
 მის ნიაეი, მტებობე სმენის.

„მთის მწვერვალზე მოაკმაშე
 მიყვარს მე მზე, ეარსკლავ-მთვარე,
 სხიეი, მწვეტთან მოთამაშე,
 წვეტე, სხიეით მოეღვარე.

„მიყვარს მე ზღვა, თუმცა მტერი
 ხშირათ მისგან მოამხეცია;
 იმას შეეტრფე, მას დეეცქერი,
 თვალი იმას შეჩეცია.

„მიყვარს მე ზღვა, მაშინც მიყვარს,
 რაცა შმაგობს, ხელობს, წყრება, —
 თუმცა მტებარი ჩემს გულს დამწეარს
 უფრო ხშირად ენატრება...

„აღლა, აღლა! ნუ გეიწყრებე,
 რაც ეიწვალეთ, აწ გეეკარე.
 გულის ცრემლით გეეედრებე:
 შეიბრალე ჩემე მხარე!“

* 1 ბათუმის ოლქის მკვანდანი ქართველები ღამა-
 რეობენ ერ მანეთ შორის ქართლად; გურ. ღ კილო
 ზე. თუმცა თურქული ენა იცანს გეკუმს (ქალუმს კი
 თითქმის სრულიად არ იცანს); მაგრამ ქართული ღამა-
 რეი უფრო ესუნსებათ, რადგან უკელეს მოძმეთა ენა
 უკეთ ესმისთ, ვადრე დამორჩილებულ ერთმორწმუნეთა
 ენა ათსში ერთსელ თე შესჯებებით მათს ქართულ ღა-
 მარეში რომეღე თურქულ სიტყვებს, იმასე გადქარ-
 თულად გურქულეს.

IV

ყოჩი მოკრეს ღზეამ და მთებმა
 ქობულელის ცრემლთა ფრქვევას: —
 გაქრა მათზე ცოცხის ხმებმა, —
 დაეთბოვენ მყისეე წყევას.

მთამ მოგზავენა სიო გრილი,
 დაამღერა ზედ ნანინა;
 ზღვას მოესმა ეგ ხმა ტკბილი,
 დაამას, დაძინა.

ქობულელმა გადახედა
 მის წინ გაშლოლს დამტებარ ზღვასა,
 დიდ ხანს, დიდ ხანს, აყოლებდა
 ის თვალს სურათს სხეა-და-სხეასა.

სადაც ზღვა ცას უერთდება,
 მოწმენდილი ჩანს ეთერი,
 მაგრამ მალე ეკრებება
 იქ ღრუბელი მზაეა-ღ-ფერი.

„შეგ ცის ძირში ზღვაზე შეი
 მაღალი მთა დემყარა;
 მყის შეიმკო მისი თაეი: —
 ფიფქის თოელით დაიფარა.

გაპენტლი თეთრი ზამბა,
 მიმოიბნა იმას ზეით;
 ტკბილ ნიაემა გადაწვანა
 მთას ისინი ფრთების ქწეეთ.

და ნიაეი მსწრაფლ შეგრედა.
 ზღვა ოდნაეაც აღარ იძვრას. —
 მაშინ მზე ზღვას დაშტერდა,
 სხიეებს მისკენ ტრფობით ისერის.

ამტერდება, ეშურება
 დღის მნათობე დიდებული;
 ზღვასა ხევენას ეწყურება
 და ღლოდინში უთრთის გული.

აჰა, ახლოს მიაწია,
 ღრუბელთ მთისა წვეტს ეეღობა...
 მთას სხიეები მიასია,
 ებრძვის, — გზიდან არ ეცლება.

გაეკეთა მაშინ მთებში
 მზემ ფარულნი გასაეაღნი:
 მიმოანთო მან ღრუბლებში
 ნაღლის სეეტნი, ცეცხლის აღნი.

მოაფანტა სხიეთა კრება,
 ეკლავება ღრუბელთ მთებზე,
 და მზე ჩუმად იპარება,
 იპარება ის ამ გზებზე.

მშეს გზა არც კი ვახეცია
 გააკაფა, გაიკვალა,
 და მყის სატრფოს ჩახეცია!
 მის უბეში ჩაიმალა.

და აქრეოდენ მიჯნურები,
 მზე მთლათ სისხლათ ვადაიქცა,
 და იმათი ნაყურები
 სულ გაწითლდა ირგვლიე იქ ცა.
 ზღვამ ტრუობისა იგრძობა ძალი,
 მოვმატა გულის ძვრა:
 თრთის, კანკალებს მისი წყალი,
 წყურის დიდ ხანს სატრუოს ცქერა.
 და ასრულდა: მზე დიდებით

მთლათ მის გულში ჩაცვენა, —
 და ქობულელს ესმა მივებით
 საიდუმლო რაღაც ენა:
 „ნუ გეშინის, ქობულელიო,
 ნუ გეკარგვის სასოება:
 აყვავდება საქართველო,
 შენი მხარეც აყვავდება!“

სილოვან

ქუთაისი იანვარი 1894 წ.

ჩემი თავგადასავალი

წასახლეში რომ გამომიყენეს, პირველ ხანებში ძალიან მოწყენილი ვიყავი. დედამ შემნიშნა ეს, მომიჩინა პატარა ბიჭები და მიმანება თავი. მე ამ ახალ ამხანაგებთან ერთად დიდიდან საღამომდე სულ მინდორში დავბოდი; მხოლოდ სადილათ დამიძახებდენ ხოლმე. თითო ან იქნა ჩემი, როგორც წინეთა ვთქვი, მშრომელი იყო: დიდიდან დაწყებული საღამომდე სულ ფეხზე დგავ; საღამოს შემობრუნდებოდა სახლში და მაშინ ჩვენც დაგვიძახებდენ ხოლმე. დაათვებდენ ბუხარში ცეცხლს, ბუხრის წინ გავვიშლიდენ შველის ტყეც და დაგვამდენ ზედ. ირგვლიე შემოგვბევივოდენ ბიჭები და მოგვიყვებოდენ ხოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგეწყონდებოდა, მაშინ გავმარბებოდი ხოლმე ერთმანეთში: ან გამოკანებს ვამბობდით რა ან სხვებ როგორმე ექცევიდით თავს ეანშობამდე. დედა იქვე ტახტზე იჯდა ფეხ-მოკეცილი, წიგნს კითხულობდა თავისთვის, მაგრამ ჩუმად კი ყურს უგდებდა: „ბიჭებს ურიგო არა წადეს არა ყმაწვილებთანო. ჩემ ამხანაგ-ბიჭებში ერთი პატარა ბიჭი ერთა დიდი გამოეშმაკებული ყოველიფერში, მაგრამ გულისყური კი არა ჰქონდა. როცა დედა დაგვასწავლიდა ხოლმე ჩვენ ყველას სახეპირო ლოცვებს, ის ბიჭი ისე გამოშტერებული იდგა ხოლმე, რომ სიტყვის განმეორებას ვერ ატერბებდა. დედა ჩემს ეს ძალიან უყვირდა. „ისე ყოველიფერში მოხერხებულია და ნიჭიერიო და გულისყური კი დაბნული აქვსო!“ გვიკეთეს სამი თითი“ — ეტყობა ხოლმე გამოლოწინებულ ბიჭს — და კიდევ უშობლზე! ჰიჭვი: „სახლითა მამისათა!“ ახლა კიდევ ჰიჭვი. ჰიჭვი: „და ძისათა!“ ახლა მარჯვენა მხარხე.. „და სულისა წმინდისათა!“ ახლა მარცხენაზე. „ამისა!“... ბიჭი იმეორებდა თუთიყუფივით, მაგრამ თავისთავად კი ვერ ამბობდა. — ბოლოს რომ ევლარ მოუხერხა რა, სულ დაანებებია

თავი და ერთხელ ბუხრის წინ რომ ვთამაშობდით დედამაც ვითომ ხუმრობით, მიუბრუნდა იმ ბიჭს და უთხრა: „პეტრე იყო ბელატიო!“ (მელოტი) უხეგნა; შუბლი და დააღებია სამი თითი. „წვერა ჰქონდა აქამდო“ — დააღებინა თითები ჰიჭვი — „უღელვები აქედან აქამდე“ — გადატანია მარჯვენა მხრიდან მარცხენაზე ხელი. ამ სიტყვებს შემდეგ, რასაკვირველია, წარმოვიდგინეთ მოხუცებული პეტრე თავტუტველა, დიდი წვერებითა და უღელვებით... დედა წყით სიცილი და ზედი-ზედ ეიმეორებდით ზემა სიტყვებს ხან ერთი და ხან მეორე. შედეგი ამისი ის იყო, რომ უეგლისყურა ბიჭმა პირველივე ისწავლა და მეორე დღეს „სახელითა მამისათა“ გაიხეპირა. ჩვენ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. — დედაც გახარულდა და მკითხა „შენ არ იცი ჯერ ლოცვებო?“ — როგორ არა, სოფელში მასწავლეს და თუ იმას არ მათქმევინებდენ, ისე არ დამაძინებდენ ხოლმე-მეთქი. და მიეცევი ზეპირად:

„დაწვეები — დამძინება,
 პირფარი დამეწერება;
 ცხრა ხატე, ცხრა ანგელოზი
 თავითა დამსვენება!“

—
 ჯვარი მწყალობს ჯვარ-ცმული
 ევრას მვენებს მაცდურის!“

კარგი ლოცვაა, მიიხრა დედამ, მაგრამ მას სოფლურია და ჩვენ კი სულ სხვა ლოცვები გვაქვს, წმინდა მამებისაგან შედგენილიო. ის უნდა ისწავლიო. მეც. რასაკვირველია, დავეთანხმე და ერთი თვის განმავლობაში „მრწამსი“, „მიწყალი“, „მამარჩენო“, „წმინდა დმიტრი“ და სხვანი სულ ზეპირად ვეცადი. ისე გამოვიმეორეოდა სახეპიროები, რომ წერა-კითხვის სწავლაც მოვიწიე. მაგრამ დედა მიიხრა: „ჯერ ბრიყვი ხარ და არ შეგშენის, წერა-კითხვაო, როცა დატკვიანდები და ხასიათიც კარგი შეგქმნება; მაშინ გასწავლი, თორემ ჯერ შენ რა ღირსი ხარო!“



ამ სიტყვებმა სულ ცეცხლი მომიკიდეს და ეცდილობდი დატკეიანებას, რომ ჩემ ქმებასავე მეც „წერა-კითხვის“ ღირსი გავმხარეოყუე. მეხარებოდა, ესეები რომ კითხულობდნ და ბოლოს ჩემმა ბედმა გაკრა: ერთხელ ჩემი ძმა, რომელიც რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი იყო, მღვდელს მოეხმარა და წირვაზე შეენიერად წაიკითხა „სამოციქულო“. ნაწირებს დიდი და პატარა, ყველა მის ქებაში იყო.

მე მეხარებოდა და გული მწყებოდა.—ერთმა გლეხმა მკითხა: „შენ როდის-ღა წაიკითხავ?“ ჩემ მაგიერად მეორემ მიუგო: „როდინობის კვირისაში!“ მიზეზი, რომ დამკონოდნ და მეწყინა. იმ დღეს ჩემ უფროს დას კალთა დაეავლიჯე ხეწვით: კითხვა მასწავლემ-მეთქი. იმანაც, დამარიგა, დეღამ არ გაგიგოსო და ჩუმათ დამაწყებინა კითხვა:—მოკლე ხანში ანბანიც ვისწავლე და ამოსაღებიც დაიწყე. „თუ ავრე კარგათ და გულ-მოდინეთ ისწავლი, მალე სამოციქულოსაც დაგასწავლი და საყდარში წაგაკითხებო.“—მეუბნებოდა ჩემი და—დედას ძალიან გაუკვირებდა:—მეუბნებოდა ჩემი და—დედას ძალიან წახალისებულს დღე-ღამე მეტი აღარა მეუიქრებოდარა. და რა ვიცოდა, თუ ეს სულ დედი ჩემის ხერხი იყო, რომ წერა-კითხვა შემეყარებოდა. ამ ნაირმა წინდახედულობამ ძალიან შემეყარა წიგნის კითხვა და ერთ წელიწადსაც არ გაუელია, რომ მე მღვდელს ეგხმარებოდი.—დედა ჩემი არ გვაქალაქონებდა ჩვენ. „ნამეტანი ალერსი აფუტქებს ყმაწვილსო!“—იტყოდა ხოლმე და მართლაც თუმცა გოლახვა არ იცოდა ჩემი, მაგრამ შიშით მაინც კი

ძალიან გვეშინოდა მისი. არც ერთ დანაშაულობას არ შეგვარჩენდა, რომ არ გადახედვივინებო ჩვენთვის; მაგრამ სასჯელი კი ახირებული იცოდა, მაკალოთად წიგნის კითხვის ნებას არ მოგვცემდა, ღირსი აღარა ხართ როგორც დამნაშავეო!“ და მაშინ უნდა გენახათ ჩემი მწუხარება!... „იიი! იი!“ დაგვეცინოდნ ბიჭებ-და გოგოები სასახლეში—უწინაოთ დარჩით, უწინაოთ დარჩითო!“ და მართლაც ჩვენს სირცხვილსა და მწუხარებას სახლგარე აღარ ჰქონდა.—რამოდენიმე წლის განმავლობაში ხუცური ზედ-მწიწენით ვიცოდი. მხედრული ჩემით ვისწავლე. ანბანის წერა ბეჭეზე დაიწყე. რუსული კითხვა დედაჩემმა მასწავლა, მაგრამ სიტყვები კი ბევრი არც დედას ესმოდა და არც მე. ერთი ძველი, მოსკოვი დაბეჭდილი, „რახლოვარი“ გვექონდა და იმას მახვარებობებდა ხოლმე. დედა ჩემი სულ იმას ფიქრობდა, რომ ჩვენ უსაქმოდა არც ერთი წაში არ დაერჩინილიყავით და სწორეთ რომ სიხარულით გავხდით. სულ ფეხ-შიშველა და თავშიშველა აცვებოდი მიწოდარში, არც გაკეცების გვეშინოდა და არც შიმშილის. „კაკი ისე უნდა იყოს დაჩეუელი ბავშობიდანე, რომ ცოცრებაში ყოველიფერი აიტანოსო.“—იტყოდა ხოლმე დედაჩემი და მართლაც, რომ მისი ჩვევა ბოლოს გამოგვადგა.—რომ უფრო დაწერილობით გაიგოს მკითხველმა, თუ რა ნაირად გვხრებდნ ჩვენ სოფელში, მე აწერე: წლიდან წლიმდ ჩას ვაკეთებდით? და ან დღეს როგორ ვცაიმებდით?

აგაი
(შემდგეს ჟენება)

კ რ ი ტ ი კ ა

მასხუბი ქრონიკების პატრონის თ. კორდნაის
(„ივერია“ №№ 111, 112).



ერთხელ საუკუნიდან დაწყებული ქრისტიანობასთან ერთად საქართველოში დაიწესეს ეკლესიების შენება იმ გეგმით, რაც აღმ-დასავლეთის ქრისტიანებს შეემუშავებინათ საყდრებისათვის. როგორი იყო ეს გეგმა? ამის პასუხს გვაძლევს პავლიონი*: „როცა იტყვას ქრისტიანობამ დაიპყრა რომი და გაბატონდა მაშინდელს განათლებულს კაცობრიობაზე, ხუროთ-მოძღვრება უკვე უზენაესს წერტილამდე იყო აყვანილი.

მაშინ საყდრებისათვის იგი გარი გეგმა მიიღეს: 1, ბაზილიკა, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან. „ძეღუროი“, ესე იგი გველი, ორწყება სვეტებიანი სახლი, რომელიც უდიდია ხომალდი, ანუ ნოეს კიდობანს და 2, მაღალი ოთხ-კუთხი, კუბოკრული, ოთხსვეტზე ამართული და ცა-გადართამული, ანუ კამარა-შეკრული სამლოცველო, რომელიც მაღლა იყარობდა მლოცველის ყურადღებას და მოავრუნებდა მას ზეცას. ასეთი გეგმა დღემდის დარჩენილა სამრელობებისათვის. მაშინ მომეტებულს ნაწილს საყდრებისას ამ გეგმით აშენებდნ. ამ ნაირი გეგმით აშენა ოსტინიანე იმპერატორმა იერუსალიმის ქრისტეს საფლავზე ტაძარი და შემდგეს ეს ტაძარი შეიქმნა მთელი ქრისტიანობისათვის ნიმუშად. ეინც კი მივიღოდა ქრისტეს საფლავზე სამლოცველოდ, მუშუ იქნებოდა, თუ დიდებული, ბერი, თუ ერის კაცი.

*) ისიდე „Материалы по Археологии Кавказа“, выпускъ III, 1893 г. Москва.

ყველანი ნატრობდენ, აწმენებნათ თაიანი ქვეყანაში იმ ნიშუშის ტაძარი, რომელიც ენახათ ქრისტეს საფლავზე და სასაფლაო შეპყრებდნენ მას. როგორც სხვაგან, საქართველოშიაც ასე მიჰდა. პირველად აგებდენ ამისთანა ტაძრებს ბიზანტიიდან მოყვანილი ხუროთ-მოძღვრები. ამ გეგმას არაფერი საერთო ქართულ გემოვნებასთან და ქართულ-ასურულ ხუროთ-მოძღვრებასთან არ ჰქონია. ის კი არა, ქრისტიანები საუკეთესო ადგილობრივი გეგმებით აშენებულს ცეცხლის მსახურთა და კერპ-თაყვანისმცემელთა საშლოცველობებს შურისძიებთ და ძველნარებით არღვეოდენ, ანგრევდენ და მტერად აქცევდენ, არ უშებდენ არც მწიგნობრობას, არც საუკეთესო კერპ-თაყვანის-მცემლობის ხუროთ-მოძღვრებითის ნიშუშის შენობას, რომ ძველი რწმუნების და გონების განვითარება ხალხს ვადადგიწყა და ახალი შეფთვისებინა. იყო კი რამე შესანიშნავი ხუროთ-მოძღვრებითა შენობა საქართველოში ქრისტიანობამდინ—იქნება იკითხოს მკითხველმა? უტყველად იყო. ამის პასუხს გვაძლევს თვით სტრაბონი, რომელიც მოგაზრობდა საქართველოში პირველ საუკუნეში და „არგონავთიკა“, საცა ზღაპრულად აწერილია კოლხიდის ზღვის აუტესის სასახლე და მისი ძველები უზარმაზარი სპილენძის ხატებისა.

როგორც საბერძნეთის ტაძრების გეგმა, ისე საარსული, არაბული და სამხურის საშლოცველობების გეგმები მრავლად იყო შემოტანილი საქართველოში მერვე საუკუნემდის. მაგრამ ამ გეგმების ტაძრებს, ან იმათგან შეზავებულს და შერეულს ერთმანეთში ხუროთ-მოძღვრებითს გეგმებს, რომელნიც საქართველოს პოლიტიკურად და ცემისათანავე შემოიღეს ჩვენში მეთოთხმეტე საუკუნიდან დაწყებული, ხომ იყვნენ მივიღებთ ქართულს ხუროთ-მოძღვრების გეგმების ნიშუშად?.. მაშასადამე ასეთი შერეული გეგმებით როგორც ვინელომდგენლებდი, როცა მსჯელობა უნდა გვექონდა ქართულ ნაციონალურს სტილზე, მის განვითარებაზე, მის ეროვნების შესავფის ხუროთ-მოძღვრების გეგმებზე. აი, ეს იყო მიზეზი, რომ ჩემს სტატიაში „ვინ ააშენა გელოთი“ ბედიის და ქუთაისის ბაგრატის ტაძრის გეგმები ავიღე ნიშუშად და ნამდვილ ქართულ ნაციონალურ ხუროთ-მოძღვრების მაგალითად მ-იყვიანე. მხოლოდ იმათი განხილვით, იმათი შედარებით გელოთის ტაძრების გეგმებთან გამოვიყვანე ჩემი დასკვნა. ახლა ვიკითხოთ, აბა, რა ჩემი გამოკვლევის დამარღვეველი საბუთი უნდა ყოფილიყო, ბ-ნ ჟორდანიამ რომ წმინდა ბერძნულის, სომხურის და შერეული გემოვნების გეგმების ტაძრები მოიტანა სამაგალითოთ. ასეთი უცხო ქვეყნის გეგმებით აშენებული ტაძრები ჩვენში მრავ-

ლალია, როგორც მრავალია კვალი უცხო თესლის შემოსევისა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ეს ხომ იმას არ ამტკიცებს, რომ ქართველები იყვნენ უციკები, ან ხაზარები, ან სპარსელები, ან ბერძნები, ან რუსები და ან სომხები, როგორც არ ამტკიცებს, რომ იმათი ნაციონალური გეგმებით აშენებული ტაძრები ქართული ხუროთ-მოძღვრებისანი იყვნენ. ასეთი მაგალითების მოყვანით ჩემის აზრების უკუგდება შესაზებ ქართულ ხუროთ-მოძღვრების გეგმის განვითარებაზე ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ბ-ნ თ. ჟორდანიას მართლაც არ ესმის, რა არის ხუროთ-მოძღვრების ისტორიისა.

დღეს ნამდვილი ქართული ნაციონალური ხუროთ-მოძღვრების ნაშთის ნიშუშები ცოტანი მიაიპოვიან ჩვენს ქვეყანაში და ისინიც გამოსქვივიან მხოლოდ მოვლენარე მარგალიტებად ათას გვარ ძველ შენობებში და ნანგრევებში, რომელთაც სასენა საქართველო. — მხოლოდ ის რამდენიმე ნიშუშები არიან დამატკიცებელი საქართველოს ერის კულტურისა ძველ დროში და, როგორც თვალის ჩინს, ისე უნდა დეფუცრებდეთ იმათ, ვცდილობდეთ იმათ შესწავლას და დფასებას. აი, ასეთი არიან ბედიის ტაძარი (აფხაზეთში), ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, გელათის ღვთის-მშობლის და წმინდის გიორგის ტაძრები, ნიკორ-წმინდა (რაჭაში), ღე მის საყდარი (ყვირილის ხეობაში), საენე და ცხვევი (ზემო იმერეთში *).

აი, რას ამბობს თვით პელიონოვი ბედიის ტაძრის შესახებ: „რაკი აღვადგინეთ გეგმა, წინ-პირი (ფასადი) და შინაგანი არსება ბედიის საყდრისა, ახლა შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ის არის ნაშთი და ნიშუში წმინდა ქართულის ხუროთ-მოძღვრებისა. მის შემკულობაში მცენარეული ქანდაკა შერეულია გრციკლის ქანდაკეში და ეს ძველისძველი გემოვნება უნდა იყოს, რომელიც მიიღეს საქართველოს კავკასიაში (ესე იგი საქართველო-სომხეთში) დარჩენილა. ეს შემკულობა მოგვაგონებს ძველს ასურეთს, მაგრამ ამისთანავე ატყვია კვალი თაყვისბურობისა, ნაციონალური გემოვნებისა. ასეთი ტაძრები, რომელთაც პაწია სვეტები არა აქვსთ, ბევრია კავკასიაში და, რომ ისინი გავარჩიოთ სხვა მრავლისაგან უმრავლეს კავკასიის ტაძრებისაგან, უნდა დავარქვათ ნამდვილი ქართული ხუროთ-მოძღვრების გეგმის ტაძრები“.

*) შეიძლება სსკაკუთსკეშიც იყოს ნამდვილი ქართული ხუროთ-მოძღვრების გეგმით ნაშენები ტაძრები, მაგრამ რადგან იმათი უზენაესი სქელი ანა მატეს და ანც მანახეს, ამისთვის ან გასასჯელს სსკკეს.

წაიდა ისტრო, როცა სხოლასტიკები ისტორიულ მეცნიერებას ამკარებდნ მხოლოდ მონასტრებში დარჩენილ წერილობით საბუთებზე და მხოლოდ ქალაქის ნაწიბურზე ნაპოენი ზედწარწერები ეინლაქ უცოდნელი ბერისა საბუთად მიანდათ და, თუ ნახედენ ასეთს ქალაქის ნაფლეთს, გადმოწოდენ, დასტამბადენ და გათავდა, უმეცარი სხოლასტიკოსი აღიარებდა თავის თავს მამად ისტორიისა. დღეს ეგრე აღარ იქცევიან. გუჯრებისა და მატანების გამოქვეყნებასაც თავისი კანონი აქვს: ისტორიულ უტყუარი საბუთებისთვის მარტო დიაკვნური ამოკითხვა რომლისამე გუჯრისა, ან მატანისი და იმისი დასტამბა საქმო არ არის. ახა. ამ გვიარი ხერხით ბევრი ყალბი ისტორიული ცნობები წარმოდგა და ამისთვის ეს მეთოდი, დღეა ხანია, უარ ჰყვეს მეცნიერებმა. დღეს ყოველი, გუჯარი, ყოველი ხელნაწერი მატანე, სანამ გამოქვეყნდებოდეს, უნდა იქნეს მეცნიერულად შესწავლილი, უნდა შეიგინონ და შედარებითი მეთოდით გაარკვიონ, როდის არის ის დაწერილი და ყველა ეს ტექსტთან ერთად გამოაქვეყნონ. აქ საჭიროა სტამბის გარდა ლითოგრაფიაც ნაწერის გადაღებისათვის და ფოტოგრაფიაც, საჭიროა აგრეთვე თვით ნაწერისა და დოკუმენტის დაწერალებითი აწერილობა. როცა ქრონიკებს ასეთი დამატებითი გამოკვლევებით თან არ დასდვენ, იმას არავითარი სამეცნიერო მნიშვნელობა არა აქვს და შრომაც ტყუილად არის დაკარგული.

ამას გარდა ნამდვილ ისტორიკოსმა გუჯრებისა და ისტორიულ საბუთების დიაკვნურს კითხვის თან უნდა იცოდეს ხუროთ-მომღერების ისტორია,

მატრობის ისტორია, ნუმიზმატიკა და მიწას ზემოთ და მიწას ქვეშ ნახულის ნივთების, მონეტოლობის და სხე. ისტორიული ნაშთების ზედმიწევნით დაფასება არც ერთის ამის კვალს ცოდნისას თ. ჟორდანიში ვერ ეხედათ და ამისგამო მისი ქრონიკებიც მოკლებულია მეცნიერულს ნიადაგს, მისი პატარანი ტყუილად დამაშვარალა და ამდენი აუარება შრომა და საზოგადებისაგან შეკრებილი ფული ტყუილად დაუნტულა. სულ სხვა იქნებოდა, თ. ჟორდანი რომ ამ ქრონიკების გამაცემას შედგომოდა შემკრებლობითი შრომით, ესე იგი მის გამოცემაში, მასთან ერთად, მიეღოთ მონაწილეობა ყველა ჩვენს მისისტორიებს და მკვლევარებს, შეედგინათ ისტორიულ-არხეოლოგიური და არხეოგრაფიული წრე და ისე დევეგირვირებით საქმე. მაგრამ სამწუხაროდ თ. ჟორდანი თურმე ვერავისთან შრომას ერთად ვერ ახერხებს. კენეთ და უცტიერპირობით შენობი-უნაჭა ყველა ახალგაზდა მკვლევარები, დაუბატონა მართოდ-მართო ქართულ საეკლესიო მუზეუმს, ჩაიკეტა შიგ კარები და ღმერთმა იცის, რა დოკუმენტებს როგორ ხმარობს, სად მიაქვს, ან რა ფერს აძლევს. რაც შრომა საერთოდ მეცნიერთა ეკუთვნის, ის ერთ კაცს როგორ შეუძლია, რომ გაეკეთოს, თუნდ ათასი თავიც ებას, მერე მისთანა კაცს, რომელმაც ერთი უტხრა ენაც არ იცის. აი, სულ ყველა ეს საბუთები არიან მიზზენი, რომ თ. ჟორდანის ქრონიკების ყოველი ფურცელი აღბეჭდილია ისტორიული შეცდომებითა.

გ. წერეთლი

(შემდეგი იქნება)

ბასუხი გრ. ყიფშიძეს

უაზრო სეული უპატრონო სახლსა ჰვავს,
რომელიც ყოველთვის ინგრევი.

(„ივერია“ № 10)



ხვა-და-სხვა, არა ჩვენგან დამოკლებული მიზეზებისგამო აქამდე სტამბითი პასუხი ვერ გავუცით „ივერიაში“ დასტამბულს თავის გამართლებას გრ. ყიფშიძისას ჩემ მიერ „ეკლში“ წარმოთქმული აზრის შესახებ, რომ უდროოდ დაკარგული მაღალი ნიჭისა და მაღალი ზნეობის ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი (ინგოზარევა) — მსხვერპლია არამც თუ უკურნებელ სენისა მხოლოდ, არამედ უფრო ჩენის სასოგადოებრივის ზნეობისა და მისი პასუხის-მოთქი. „ივერის“ რედაქციას გულში მო-

ხვდა შხამ-მოკლებული ისარჩივით ეს ჩემი უკანასკნელი აზრი, ალბად, იმიტომ უფრო, რომ მართლაც, საქმოა წილი უძვეს მას (რედაქციას) ჩენში ამ ყამად არსებულის საზოგადოებრივის ზნეობრივი პირობების დამყარებაში, რომლის მსხვერპლად სხვათა შორის მიმანია მწერალი ნინოშვილი. ხალხის გენით შექმნილი ერთი ანდაზა ზედგამოჭრილია ამ შემთხვევაში „ივერისის“ და მისგან დაქინავებულ თანამშრომელ ბ-ნ გრ. ყიფშიძის მიერ თავის გასამართლებლად დაწერილ პასუხზე: „პილი თუ არ გიკამია — პირი რად გეწვის!“... ცოტათი მაინც ფხიზელი და კრიტიკული კვლა-გონებია მკითხველისათვის თვით „ივერის“ საპასუხო წერილიც მწიწმობს, თუ რა ზნეობრივი საზოგადოებრივი ხელმძღვანელობდა აქამდე და ხელმძღვანელობს ალბად ახლაც „ივერისის“ რედაქცია სამწერლო-სამ-

წივნობრივ ასპარეზზე — მოღვაწეობაში; კუჭმარი-
ტების აღდგენისა და ცუდ-ყოფაქციის ყოველ-
თა დასანახად გამოაშკარებისათვის გთხოვთ,
სანამ ამ წერილის წაიკითხავთ, თვალს გადაავლოთ
ამ წლის „კალოს“ № 21, სადაც დაბეჭდილია ჩე-
მი სტატია მელეტრისტ ნინოშვილის უღროლად და-
კარვისა გამო ამ სათაურით — „უკარგოდ დაკარგუ-
ლის გენატე ნინოშვილის (ინგოროკას) სახეს!“ და
„იერია“ № 104, სადაც „იერიის“ რედა-
ქტია გრ. ყიფშიძის პირით თავის იმართლებს
პირველ სტატია-შიერ აღნიშნულ დანაშაულობა-
ში. ჩვენს წერილში ეს დანაშაული „იერთის რე-
დაქციის“ მოქმედებად არის აღსარებული, და
არა „იერიისა“ პირდაპირ; მარა, ჰკავს, რედაქცია
უცნია თავისი სახე და მიმდევი პრინციპის — „ქი-
დლო-ბრძოლა არსებობისათვის“ უკანასკნელ
ძალ-ღონეს ხმარობს ბრბოს წინ თავი იმართლოს
და წუშქვად უშეწყვილოდ ამოვიღოს... მაგრამ... სა-
ჭე ისაა. რომ, როგორც ნათქვამია, სატყუპან
შეშან გამიღავს შენ და მოჰქუქავსან შენან წყვეტის
შენა“ — ან თავგება თხარა, თხარა, კატა გამოთხარაო, —
ისე ემართება „იერიის“ რედაქციას თავის საპასუ-
ხო წერილში. დასარწმუნებლად ამაში ჯერ გავშინ-
ჯავ გულსა და ლეიძლს ამ წერილისას და შემდეგ
კიდევ წარმოვსთქვამ ჩემს აზრს ჩვენის საზოგადოე-
ბრიის ზნეობისა და პირობების შესახებ, რომლის
დამარსებელ და გამოთქმელ-გამომხატველ ორგა-
ნოდ „იერიისა“; მის ლეიძელ-შვილად, ნათავად და-
რჩენილია — ცოცხალი გმირი გონება-ზნეობის ვათა-
სიხებისა და დაწერილობების დროისა — ბ-ნი გრ.
ყიფშიძე, ხოლო განწირულ მსხვერპლად — შავ-ბე-
ღანი მწერალი ე. ნინოშვილი, უღროლოდ, ვნით
გამოუთქმელ და კალით აუწერელ ტანჯვა-წვალე-
ბით განშორებული თავის სატრიალო ცხოვრების
იღვასა და შრომა-მოქმედებასა.

საპასუხო წერილის ავტორი პირველად ჩემკერ
მომართულ რაოდენსამე უკმეხსა და ზრდილობას მო-
კლუბულ სიტყვებს შემდეგ ჰარბად ამოწერს ჩემის
სტატიიდან და ამბობს: „ყოველივე, რაც აქ მოჰყავს
ავტორს (ესე იგი მე), მტკნარი ტყუილია და უსა-
ფუძლო ცილისწამებაა (ცილისწამება და სა-
ფუძვლიანი!).... მერე რით ამტკიცებს ამას „იე-
რიის“ რედაქციის არზიაროჲსი და გამგელ ნამყოფი
ბ-ნი გრ. ყიფშიძე? თავდაპირველად იმას სწერს,
რომ ე. ნინოშვილის ნაწერებიდან პირველად 1891
წელს დაბეჭდეთ „გნაჲსი სენა“, მაშინ, როდესაც
მანამდეც იყო „იერიაში“ დაბეჭდილი გურიიდან
გამოგზავნილი მისი წერილი, დიდი სიმახვილით და
სიტყვილით დაწერილი... ეს — წერილმანი შენიშვნა

და აღნიშნეთ აქ ეს შეცდომა „იერიის“ რედა-
ქციის ძველის-უძველესი თანამშრომლისა მხოლოდ
იმიტომ, რომ მიგვეტკია ყურადღება მკითხველისა
იმაზე, თუ როგორ ავითარებს (sic) გონება-მესხი-
რებით ზოგიერთა რედაქციაში მუდმივი, თავ-აუღუ-
ბლივი და ყურდებ-ჩამოკლებული თანამშრომლობა
კაცს, როცა არ იცის სამიოთხი წლის წინეთ რა
დაიბეჭდა საყურადღებო რომლისამე გამოწერილის
მწერლისა მიწვე, თუ სხვების არა. შემდეგ „იერიის“
რედაქციის განსამართლებელ წერილში ჩამოთვლი-
ლია, თუ რომელ დროს რა თხზულება დაიბეჭდა
ნინოშვილისა „იერიაში“. ამასთანვე რაუდგურებ
შენიშნით „გნაჲსი სენა“ ანუ: „გნაჲსი სენა“, მაშინ
ან დაგვიღვიო... მერე ეს საბუთია ნაწერებ თხზუ-
ლებებზე ჰონორარის მიუცემლობისა მხოლოდ იმი-
ტომ, რომ ახალგაზდა ავტორი, ფანატურად გატა-
ცებული იდეთა და საზოგადო მოღვაწეობის სურ-
ვილით, მორტეობს, ვერ კადრულობს თითონ და-
ვასოს თავისი ნიჭი და შრომა და სხვების ნაშუხზე
და სინიღსზე ავღებს ყოველსავე ამას, მიუხედავით
თვისი ხელ-მოკლე და მატერიალურად გაკორეებულ
მდგომარეობისა?! o tempora, o mores!! მაგრამ უკე-
თესია „იერიის“ რედაქციის ზნეობრივ საზომების
გასაკებად ამოუწერით ორიოდ ბრილიანტი სტრი-
ქონები „იერიის“ გამგელ ნამყოფის საპასუხო წე-
რილიდან: „არც არავინ თითქმის სხვა (ნინოშვილის
გარდა) თხოვლობდა მაშინ სინოშვილს, სიტყვად ისინი,
გინც სხლად გამოიღვიან საღიტრატურო ასაწერსსე
და კერძოდ თვითონ იგოდენ რიგინახე; არც სხვა ვინმე
(sic!), გამოაქნაჯენ რაჲე ნიჭს თუ არა... საწყუხარო
და გასაკიცხრც ესა ყოველი ადამიანისა, ადამიანთა
კრებისა და მით უფრო რედაქციისა, რომ ნი-
ჭირ- გულ-უბრყვილო და ზნეობა-ამღობებული
ახალგაზდა მწერლების ნაწერებით სარგებლობენ,
ტკებიან და განბობით კი გაიცნობენ მხოლოდ მა-
შინ, როცა ისინი აუტანად გაკორეებანა და სილა-
რბებს ქვეშ ან კტუთ შეშლინენ, ან უკურნებელ
სენ-მოკრუელნი შავ-სამარეს ამოეფარებთან და ნა-
ყოფიერ შრომა-მოქმედებას შეწყვეტენ ყველაზედ
უფრო მომწიფებულ და სანატრელ დროს. მაგალი-
თებისათვის შორეულ წარსულს რომ არ მივმარ-
თოთ, საქმაოა სულ ახლახან უღროლოდ დაკარ-
გულნი, მაღალ-ნიჭის და სიმატიურ მიმართულების
მწერალნი მოვიხსენიოთ: ალ. ყაზბეგი და ე. ნინო-
შვილი (ინგოროკა)... არა გვრწმუნს ჩვენ უღრ-
წრფელობა იმ კაცებისა, რომელნიც ფორმალურ,
იურიდიულ ფორმალობით ხელმძღვანელობენ. განა
ფორმალური, იურიდიული საბუთი არ არის „იე-
რიის“ განსამართლებელი წერილი: ჰონორარის არა-

ვის არ უთხოვია, მეტადრე ახალ მწერლებს და არც ჩვენ ვაძლევდითა?... ალღახ, ალღახ!! მაგრამ „ივერიელთა“ ყალბი ფორმალობა უფრო მტკიცდება შემდეგით: „ივერიის“ რედაქცია თავს იმართლებს, ჩვენგან რაც ერგებოდა, ყოველივე მიიღო ე. ნინოზვილიძე, თუ არა უკან რად დაგიბრუნებდა განსვენებული მწერალი „კვალის“ რედაქციით 35 მანეთს, რომელიც ენუსით მიეცა მას, როცა „ჩვენს მჭკუნის რასინდა“ წინად დავგიტოვათ?!. ენახით რამდენად მართალია ეს. „ივერია“ში დაიბეჭდა ე. ინგოროყვას (ნინოზვილიძის) შემდეგი ნაწერები: 1) დიდი სიმახვილით დაწერილი ფელეტონი გურიის ცხოვრებიდან, 2) „უცნაური სენა“, 3) „არზიანი“, 4) „პალიასტომის ტბა“, 5) „სიმონა“, 6) „ქრისტიანი“ და 7) „საბანაწლო ფელეტონი“. თვით რედაქციის განსამართლებელ წერილის სიტყვით წვერალს მიეცა მხოლოდ სამი უკანასკნელი ნაწერის ფასი; რა დაშავა პირველმა ოთხმა? მოკითხეთ პასუხი რედაქციას, მაგრამ ეს ჩვეულებრივად იხელმძღვანელებს თავისი ყალბ საზომებით და იურიდიულად თავს განმართლებს: სკენსა-მუჯანჭებით ან მოკუპანაჯს ჩვენთვის, კონტრაქტი ან ქოსნა შეკრავილი... არ ვამართლებდა თუ?!. თვით საპასუხო წერილიდან მჩანს, რომ ე. ნინოზვილიძე—მხოლოდ „სიმონა“ და „ქრისტიანი“—1892 წლის 13 დეკემბრიდან 1893 წლის 27 მარტამდე 146 მან. 14 კაპ. და „საბანაწლო ფელეტონის“ კიდევ—5 მანეთი მიუღია; ხოლო აღნიშნულ დროს რედაქციას დარჩენია ვითომც წმინდა მოგება თანამშრომელთა შორის გასაწილებლად—1400 მანეთი/და არა (როგორც ჩემს სტატიაში იყრ აღნიშნული) 2,500—3000 მანეთამდე. ამიტომ რედაქცია მწამებს მე ტყუილის თქმას, ცილის წამებას, თუ „ინსინუაციას“ (წერილის ავტორს თვითაჲ არ ესმის, რასა სწერს—და უფრო ედისონის აპარატს, „აუტომატს“ ჰგავს, ვინეჲ რაიმე აზრისა და რწმენის მექანიე კაცს)... ენახით ამ სიტყვების სიმაართეც. მე ჰქონდა ბედნიერება (!) 2-5 გრ. ყიფშიძესთან ერთად მემუშაინა „ივერიის“ რედაქციაში 1892 წლის ენკენისთვის მიწურულიდან 1893 წლის მაისის დამლევამდე, თავად იმ დრომდე, როცა ტანჯული მწერალი ე. ნინოზვილიძე „ივერიის“ რედაქციის მიერ დაიმედებული—ყოველ თვე მიიღებდა ოც-ოც მანეთს—სოფელში გაემგზავრა საზაფხულოდ. ვისთვის რა საინტერესოა, თუ რამდენ ცუდ-მოჭმედებისა და მრუდელ მოქცევის მოწვევს ეყოფილვარ მე რედაქციაში ამ შვილდ თვის განმავლობაში? მაგრამ აქ სავანი თხოულობა—აღვნიშნით, რომ დილა-საღამოს სხვადა-სხვა სარედაქციო მოვალეობათა გარეშე „ივერიის“ რედაქციის გამგემ მაქისრა—1892 წლის მი-

წურულში—გამომთვალა სტრუქტურით იმავე წელს დაბეჭდილი გაზეთი „ივერიაში“ ნაწერები ზოგიერთა საჩინო მწერალთა, რომელთა რიცხვში იყვენ უფრო ეგრედ წოდებული რედაქციის quasi-კამისიის წევრები: ამ უკანასკნელთ ჰქონდათ მაშინ უპირველესი ძალა და გავლენა გაზეთის მიმართულებაზე (თუ ეს ჰქონდა რაიმე მიმართულება რომცემ „ივერიაში“) და რედაქციის გარეშე მსახურებდენ (ახლაც მსახურებდენ, მაონი)—და მათ შორის თავისი სასახურთა არც ერთს არ ეძლეოდა თვეში 100 მანეთზე ნაკლები, ხოლო დღად მეტი ზოგიერთებს.. აი, ეს გარეშე რედაქციის მოსამსახურენ მყავდა მხედველობაში, როცა ჩვენს წერილში ვამბობდ გაზეთის წმინდა მოგება უმეტესად ბელადებმა განაწილეს-მეთქი და არა მარტო შიგ რედაქციაში მომუშავეებმა... პირ-იქით შიგ რედაქციაში მომუშავენი—იგივე ქარხნებ-ფაბრიკებში მომუშავეთა ბედობაში იყვენ: არც ერთს მათანს ჩვენს რედაქციაში მყოფობის დროს არ ჰქონდა 15—40 მანეთს ზევით. თვით გამგე 2-5 გრ. ყიფშიძეს, რომელიც რედაქციაში მომუშავედ ძვირად თუ უნახავს ვისმე გარისტიკურად! მარა ეს ზომ ხორც-მეტობის ბაღალია!. თითქოს ავშორდით ჩვენ მიერ ცრუთი ზევით დაწყებულ აზრის გავრცელებას... მაგრამ, ნუ დაიფიქვით, რომ „ივერიის“ რედაქციის გამგედ ნამყოფი მწამებს ცილის-წამებას, სხე-სგან გავორილ და აკრეფილ-მოჭორბულ აშბების გამოკვეყნებას, თითქოს ჩემ მიერ გამოგონილ იყოს ის აშბები, რომ რედაქციის ბელადებ, რომელთაც გუნაწილდათ უმეტესი 1893 წლის გაზეთის წმინდა მოგება, არ იღებდენ თვე თვეობით იმადენა ჯამაგირს, რამდენიც მე აღვნიშნე პირველ ჩემს სტატიაში ე. ი. 100 მანეთს. ამიტომ, მე გვინია, სრულებით არ უნდა იყვეს არავისთვის საწყენი, გამოვამკრავით (რადგან ამას კემშარიტების მიუყვარებლად თხოულობს და საზოგადო ინტერესს) სახელი და გვარი იმათი, ვინც აღნიშნულ დროს „ივერიის“ რედაქციის კამისიის წევრნი იყვენ და ბელადობდენ გაზეთს. ესენი გაწლათ: 1) 2-5 გრ. კრელაშვილი—ტუილისის ქალაქის საბჭოში მოსამსახურე, 2) ალ. ყიფშიძე (ფრონელი)—ტფილისის საუბერნიო კანცელარის მდივანი, 3) აგრონომი არტ. ფროლოვი—ექსპერტის საულო-ქაყრა დანისა და 4) თვით გამგე რედაქციისა—აწლ კ ემეწარადი თანამშრომელი—გრ. ყიფშიძე.. რედაქციის პირდაპირ მოვალეობისა და ზემოთ აღნიშნულ საქმის (გამოთვლა 1892 წლის ზოგიერთა თანამშრომელთა ნაწერებისა)—აღსრულების დროს რედაქციის გამგემ 2-5 ყიფშიძეს მარტოდაც და მოწუებებთანაც არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ წმინდა მოგება ამ

წელს (1892) გაზეთს რჩება 2500—3000 მანეთა-
მდე, რომლიდანაც ნახევარს რედაქტორი მიითვისებ-
სო, როგორც მეპატრონე გაზეთისა და ნახევარს,
ჩვენ, თანამშრომლები გაიყოფითო... ეს ფაქტი ეგნა-
ტესაც გაუღწიარე და ეამედლები—ყველა წინანდელ
ნაწერების სასყიდლსაც მიიღებ-მეთქი... მაგრამ
„იერიის“ რედაქციაში ევრცხლ-მოყვარეობამ ჰძლია
მართლ-მოყვარეობასა და კაცთ-მოყვარეობას, და
ჩა ჩვენი ბრალა, რომ დრომ და ვარემოვებამ აუ-
ცილებლად მოითხოვა მათი გამოქვეყნება—გაზეთის
შემწეობით მომავლისათვის და სხვებისათვისაც სა-
გულისხმოდ და სახელმძღვანელოდ... წარსულს რომ

თავი ვანებოთ, განა „იერიის“ რედაქცია ახლაც
უსამართლოდ არ მოექცა ერთს შორეულ ქვეყანა-
ში მყოფს თანამშრომელს, რომლის ნაწერებში—„ე-
როპიდან“ და „საფრანგეთის არჩევანების შესახებ
წერილი“—იშვითი მოკლენა იყო გაზეთისათვის?!
მაგრამ აწ კმარა ამხვდ.. ყოველისევე ზემოთ აღნი-
შნულისა, როგორც ქვემოთ ნახევრებ ფაქტების და-
მტკიცება, თუ საქირება მოითხოვს, ცუბალ მო-
წმებითაც და წერილობითი საბუთებითაც შემძილია
ყოველთვის...

ინა ცხაკაია

(შემდეგ ქება)

ყ ვ ა ლ ი

(მოახრობა)

IX.



მ დროს, როდესაც ყოველ მხრივ დაჩაგრუ-
ლი ილიკოს დედა დანადგლიანებული იჯდა
კერის წინ და თავის ბედს შეჭტიროდა—ვა-
ხტანგ ქარქვეტაშვილის მეუღლე, ციხიერი ანასტასია,
თავის სალომეს საქმეს აწყობდა.

ერთ კვირესაც არ გაუღლია ილიკოს დაპატი-
მრებას შემდეგ, რომ ვახტანგ ქარქვეტაშვილის ოჯა-
ხში დიდი ფაცა-ფუცი, დიდი მისვლა-მოსვლა, პატი-
ვობა და წმენდვა-ხეხვა შეიქმნა. დღეს ანასტასია სა-
ლომეს ქორწილის მზადებაშია. მთელი ვახტანგის
ცნოს სიგრძეზე იდგენ. მუშები და საქორწილო „სე-
ფა“ აკეთებდნენ. სეფა სიკრძით ორმოცი საყენი უნ-
და ყოფილიყო და სივანით ორი საყენი. ვახტანგს
ბებერი ნაცნობობა და ნათესაობა ჰყენდა. სეფაში ორ-
პირად უნდა მოთავსებულიყვნენ სტუმრები. ერთი
სიტყვით ისეთი სანაქებო ქორწილი უნდა ყოფილი-
ყო, რომ მთელს იმერეთში ამბად დარჩენილიყო.
სეფის ბოძებსა და ბოძებს შუა ხის ფოთლებით და-
ფარული და ტოტებით დაფარულ-დარჩილილი
ღვინით სასენ ქვევრები იყო ამართული, რომ მერი-
ქივს სხევაგან—შორს არ მისვლოდა ღვინოზე
სისარული.

როდესაც, ყველა მზიარული იყო და აღტაც-
ებით ევებებოდა სალომეს ქორწილს, თვითონ სა-
ლომე კი ბნელით მოსილს ჯოჯოხეთში ჰკრძაობდა
თავის თავს. არავითარი უფარი იმას არ გაუფიდა არც
მამასთან, არც დედინაცუალთან. საქმრო კი იმის
ცხოველური გულისთქმით და თანავარძობის განუ-
ზიარებლობით შავ-რქებიან ეშმაკად ეჩვენებოდა ამ
დროს. მეზობლის ქალები რომ სალომეს საქორწი-

ნო ტრისამოსს აცემედნენ, ის მაშინ ასე ფიქრობდა:
კინკები დამსვიან და მაწვალეზენო. ეკლესიაში წა-
სელის დროს ვილაპაც ფეტვის მარცვალი ჩაუყარა
ფეხსაცმელში: რამდენი მარცვლიც იქნება, იმდენ
წელიწადს შვილი არ ეყვალებაო.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ სალომეს მდგამა-
რეობა ეკლესიაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც
ის თავის საქმროსთან იდგა. მღვდელი ეკითხებოდა:
„გსურს ღიპაძე თუ არაო?“ სალომეს ტანში რაღაც
ცივმა ოფლმა დაასხა, აოხდასდა, ენა ჩაუარდა;
უცებ სალომემ თვალებიდან ცხარე ცრე-
მლის ნაკადული გამოიფუჭა. ამდროს ანასტასიამ
წერობით შემძახა:

— თქვი! რის დაღუმი! ენა ხომ არ დაგბმია,
ქალო?! სალომეს ეს სიტყვები არც კი გაუგონია,
რაღაც მეხის მზგავსად დაცა თავში და წაბარბაცდა;
ანასტასიამ უცბათ სტაცა ხელი და შეიმავრა. მღვდ-
ლმა იფიქრა, მეტის გრძობისაგან მოუვიდაო; სა-
ლომეს პასუხისთვის აღარ მოუცლია, დაიწყო ჯგა-
რის წერა და ერთს წამს გაათავა.

ეკლესიაში მყოფმა ახალგაზღვრებამ აცნობა
ხალხს, ნაჩინიკის ქალიშვილის გაბედნიერება, რამ-
დენჯერამე თოფები დაკალებს და მაღალი ხმით მყ-
რული გაჯკიმეს.

სალომეს ოჯახში დიდ კარებში ძმად ამოღებული
ლექსობით იდგა და ლექსურ ქვეშ მეფე-დღეღაფალი
გაატარა. მათი ფეხის შედგმა სახლში და საინის და-
მტერევა ერთი იყო. ამ ხმაზე ერთად შეძახა ხალ-
ხმა: „მეფე-დღეღაფალს გაუმარჯოს! ასე გაუტყდეს
მათ მტრის გული! მეფე სალამს არის?! გაუმარჯოს,
გაუმარჯოს!...“

ყველანი ულოკო ედენ ბედნიერებას, მაგრამ იმ-
ის გარჩევაში კი არაფერი შევიდა, სალომე ამ გვირ-
ვათხრობებით ბედნიერი იყო, თუ უფრო უბედური.
მეფე-დღეღაფლისათვის განგებ ერთი ოთახი მოემზა-
დებინათ საზოგადო სახლზე მოშორებით, რომ

უფრო მყუდროთ და თავისუფლად შეძლებოდათ პირველი სიყვარულის გემოვნება. ცოლ-ქმარნი იქ შეიყვანეს და მოასვენეს.

დღემდის კიდევ არა უშავდა რა სალომეს მდგომარეობას, მაგრამ დღეს კი საზარელი და შესაბრალო იყო იგი. სალომე ტახტზე ჩამოვდა და რალც უქნაურ ფიქრს მიეცა. მან წარმოიდგინა თავისუფლებით საესე სიყვარული, პატარა მდინარეში ბანაობა, იქ შემთხვევა, როდესაც იხსრობოდა და ილიკომ გადაარჩინა, ხეს ქვეშ დასვა და იქ გონზე მოიყვანა. გაახსენდა ის დაუფიწყარი ალერის და მუსათი, რომელსაც ხშირად შეეცდოდნენ ხოლმე და ნიშნულს ალავას, გაახსენდა ის სიტყვებიც, რომ თქვა „მე თუ არ მსურს, არავის არ წაყვებიო“.

დღეს ნუ თუ ილიკო არ გაიგებს, რომ გავთხოვდი, მამ ჩემი ნება ყოფილა, თორემ ვინ გამათხოვებდა! ნუ თუ მე ფილიდ, ცრუ, სუსტი და გაუტანური და უმაღური არ გამოეცდინა ჩემ ილიკოსთან ჩემ მხსნელ ანკელთანა? მხოლოდ ახლა ვგრძნობ, რა საშინელი ყოფილა ობლობა, ახლა ვგრძობენ ნამდილად, რომ უდევო ცვათილვარ! ქალიშვილისთვის დედა ყოფილა, რაც ყოფილა. ასე, როგორც დღეს ჩემ დღეში მართობა, ობლობა და გულის წუთილი არ მიგრძნია! ვანა ეს დაემართებოდა, მე რომ ღვიძლი დედა მყოლია! ესეები ყველა წარმოიდგინა და უცებ ერთი საშინელი ქეთიანი მოარო, ქვის გული უნდა ჰქონებოდა ადამიანს, რომ არ ეგრძნო, არ შეგრალებოდა სალომე.

ამ დროს მაყრები შემოაუსხდენ სუფრას და დასძახეს:

„ყანწით ესვათ ღვინოს, შენ დალევგრძობო!
და გაუმარჯოს ჩემს საქართველოს!..“

მშემ ამოჰყო თავი. სანთობოში სანთელი აღარ ჰქანს. ბრძოლით მოქანკულ სალომეს მიძინება. მისს შორი ახლოს ღობად წყეს, სახე უკმაყოფილობის ჩრდილით მიღამებია და საზარელ ოცნებაშია: „ეს რა ექვნი, რა ჩავიდინე! ნუ თუ დიდ ხანს ვაატარს სალომეს უარყოფა?.. მაგრამ არა, ჯერ ხომ ბავშია, გულის გაღიყრის—ანუ გემებდა თათის თავს ღობად?.. მაგრამ იქნება თვალნაცემიც იყოს... ხედა ან ზეგ ქ—ში წაიყვან და ექმს ვაჩვენებ.“

ფიქრებით წაღებულმა უცებ მელქისედეგ ღიპამეც ჩათვლიმა, შეუმჩნევლად მისს თვალებსაც რული მოვიდა და ხერინი გამართა.

X

სალამოს ქამი იყო, შეზინდა. კაცი კაცს კარად ვეღარც კი იცნობდა. სასიამოვნო ნიავი შევირერ სუნნელმება ჰყვრდა არე-მარეს. ამ დროს მელქისედეგ და მისი ახლავაზა მეუღლე სალომე ისხდენ ქ. ქ...ს ერთ იქაურ სასტუმროს აივანზე. მელქისედეგ ცდ-

ლობდა რაიმე ღონისძიებით სალომეს გული მიეგო, მსურდა ქალის ტუჩებს რაიმე ტკბილი სიტყვა სააღერსო ფრასა და ცდენოდა: მაგრამ სალომე გულუცვად უყურებდა თავის სულთამხუთავს. რაც დრო მიდიოდა, ისე უფრო ეზიზღებოდა და გველივით ეშინოდა მისი.

— სალომე, შენ გინაცულოს ჩემი სიციცსლე? ნუ თუ ვარე უნდა დამტანო? რა არის, გამეცი ხმა, მომხედ შენი ალერსიანი თვალებით! ეუბნებოდა ღობად.

— რომ კიდევ, ვე შენი სიტყვები რა შხამია ჩემთვის, მერწმუნე ხმასაც არ გამცემდი, მიუგო სალომემ.

მელქისედეგს ბრახი მოერია ამ სიტყვებზე: გულში ვაიფიქრა: შიში შეიქნა სიყვარულისა და გადაწყვიტა იმ დამეს სასტუმროს ოთახში ძალა ეხმარა სალომეზე.

იმ დღეს შემდეგ სალომეს ხასიათი სრულებით გამოეცვლა. მეორე დღე რომ ვათერდა, მელქო ექიმთან წავიდა თავის ცოლის ვარემოების საამობობად. სალომე კი მარტო დარჩა ოთახში. აქ მელქის მეორე ხელი ტარისამოსი კედლეზე ეკიდა; სალომემ იცოდა, რომ მელქის რვეოლევი მიკიდებული ახალუხის ჯიბეში ჰქონდა.

სალომესათვის ახლა დადვა დღესასწაული. ძლიეს ჩემ ტანჯვას მივლბა ბოლოყო, ვაიფიქრა გულში სალომემ. ჩამოიღო ახალუხი, მონახა ჯიბეში რვეოლევი, მიიღვა გულზე და თქვა: „ეს—ლა დაძრჩენია კიდევ ჩემ სიციცსლეში. მივდილობით, ჩემო ილიკო! დაგვირდი და კმედეც ვასუფლები! აწი აღარ ვიქნები შენგან ვალანძღული. მშვიდობით ჩემო ახლავაზობავ! ღმერთო ჰქონებ მათ. ვინც ჩემ ამ გვარ გამწარებულ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღო!.. ამ დროს რვეოლევის ვახდა გრიალი. სალომე უგრძობობად ვაიშვლარტა სასტუმროს ოთახში. რვეოლევის ხმა მელქის იმდროს შემოესმა, როდესაც კიბეზე მოდიოდა და ექიმიც თან მოჰყავდა. ექიმი, ქმარი, სასტუმროს პატრონი, მოსამსახურეები და მრავალი ვარემე მეუღრებლები ვანკეთრებულნი თავზე ადგენ საბრალო სულთამხრძოლე სალომეს. თითოეული მათგანი ცდილობდა მომკვდარი არსება მოგებრუნებინა, მაგრამ ამოა იყო ყოველივე. ექიმმა დაარწმუნა, რომ ქალი მკვდარი—ყო, რადგან ტუციას გული ვამებრტა.

აბახანი

(შემდეგი ოქნება).

რედაქტორ, გამომცემელი ან. თ.—წერეთლის.

ვ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„კეალის“ რედაქტორ უმორჩილესათ თხოვეს, ვისამ ექმსი თვით აქვს ვაშეით დამარტებული, მიორველ ივლისამდის აყნობოს მას მეორე ნახევარი წლის ხელის მოწერა.